სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№01-04/37 27.05. 2020 წელი

სწავლების საფეხურების მიხედვით 2019-2020 სასწავლო წლის განრიგში ცვლილების შეტანისა და დამტკიცების შესახებ

ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებიდან გამომდინარე და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის გასატარებელ **დამატებით ღონისძიებებთან** დაკავშირებით, ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებებში № 01-04/25 7.05. 2019, №01-04/26 7.04.2020, 01-04/29 13.05 2020 სწავლების საფეხურების მიხედვით 2019-2020 სასწავლო წლის განრიგში და **დანართი** 1 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარება ნაცვლად 2020 წლის მაისისა და ივნისის თვისა განხორციელდეს 2020 წლის ივლისის თვეში.
2. დოქრორანტურის განყოფილებამ (პროფ. თ. სურგულაძე) და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სტუდენთა ინფორმირება კორპორაციული ფოსტების საშუალებით.
3. დოქრორანტურის განყოფილებამ (პროფ. თ. სურგულაძე), სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, 2019-2020 წლის სასწავლო წლის მეორე სემესტრის სასწავლო დატვირთვის მაღალ აკადემიურ დონეზე ათვისების მიზნით შეისწავლოს დოქტორანტებთან ჩატარებული მუშაობის შედეგები, გაანალიზოს ის და ამის შემდეგ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული რეკომენდაციების დაცვით, ბრძანებით განსაზღვრონ დოქტორანტებისათვის 2020 წლის 5 ივლისიდან, სასწავლო კურსების ასათვისებლად სასწავლო ცხრილებისა და ინდივიდუალური გრაფიკების ფორმირება, შუალედური და დასკვნითი გამოცდების დანიშვნის პროცესი;

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

5. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყონ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის № 321 დადგენილება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული რეკომენდაციები, დოქტორანტურის განყოფილების უფროსის პროფ. თ. სურგულაძის სამსახურებრივი ბარათი.

რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი: პროფ.იმერი ბასილაძე

დოქტორანტურის განყოფილების უფროსი: პროფ. თეიმურაზ სურგულაძე